ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხ ო ნ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს მ ე რ ი

ბრძანება:**ბ60. 60232842**

თარიღი:**11/10/2023**

ექსკლუზიური უფლებამოსილებიდან გამომდინარე

„ეტალონის დისტანციური ინტელექტ-ჩემპიონატის“-ს ორგანიზების

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 57-ე მუხლის, ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ,,ეტალონი“-ს პროექტების მთავარი მენეჯერის მანანა ღოღობერიძის წერილისა (N23/24-376; 20/09/2023 წ; რეგ. N10/60232636-60; 06/10/2023 წ. და ხონის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელის მარიამ რუხაძის მოხსენებითი ბარათის (რეგ. N04-60232797; 06/10/2023წ.) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ექსკლუზიური უფლებამოსილებიდან გამომდინარე 2023 წლის 24-27 ოქტომბერს ხონის მუნიციპალიტეტში „ეტალონის დისტანციური ინტელექტ-ჩემპიონატის“-ს ორგანიზება განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ღირებულებით 2960.00 (ორიათასცხრაასსამოცი ლარი და ნული თეთრი) ლარი.

2. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებამ (თ.ფაილოძე) უზრუნველყოს აღნიშნული ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული სახელმწიფო შესყიდვისთვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი საჯაროდ გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქუჩა N1).

4. ბრძანება ძალაშია კანონით დადგენილი წესით საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

ლადო ჯურხაძე

ხონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი